

## საქართველოს კანონი

### „საქართველოს დედაქალაქის თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“

**მუხლი 1.** „საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს პარლამენტის უწყებანი 1998წ. №11-12) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

ა) 23<sup>1</sup> მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ზ) საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს და ქ. თბილისის მერიის წარმომადგენელთაგან ქალაქ თბილისის მერიაში შექმნილი სათათბირო ორგანოს დასკვნის საფუძველზე წარუდგენს წინადადებებს საქართველოს მთავრობას, ობიექტისათვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭების, ან მოხსნის თაობაზე.“.

**მუხლი 2.** ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი